


 ა(ა)იპ "თავისუფლება" **NQO "Freedom"**

**გილითის ფასი 10 ლარი** 25.03.14 6 / 20.00 სთ  
 ღონისძიების განარაგებელი მხარდამხმარებელი ქ. თბილისის მერიის  
 გილითის შიქანა მუსაბეგაძის სპორტის სასაღისი სასპორტო  
**გაავატიყავათ საქველმოქმედო მართონზე სპორტის სასახლეში**  
**საქველმოქმედო ზარი: 0901 700 515 ზარის ღირებულება 1 ლარი**

[მთავარი](#) | [შუნაღლისთური გამოქიება](#) | [კარმიდამო ჩემი](#) | [21-ს ქვევით](#) | [G-NEWS TV](#) | [საინფორმაციო აგებები](#)

სამართალი

**"მშვანე ალტერნატივა" ილია ელოშვილისგან რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფას ითხოვს**

"შვანე ალტერნატივამ" საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილის, წინააღმდეგ 2013 წლის 18 ოქტომბერს სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

2013 წლის 19 სექტემბერს 14:05:15 საათზე რადიო კომერსანტისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა განაცხადა: "შვანე ალტერნატივა" არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთვნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ... ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, დღეს რომ თავს იდებენ, ნუ ჩაერევიან, თორემ ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით, ვიცით ვის რა ინტერესები ამომრავებს. ... რა თქმა უნდა, მოსახლეობის ინტერესები გათვალისწინებული იქნება. საჯარო განხილვაზე თვითონ "შვანე ალტერნატივა" იყო, მისი წარმომადგენელი ძალიან გამაღიზიანებლად იქცეოდა. ეს ორგანიზაცია იყო იმ ჯგუფში, რომელმაც ამ პროექტის ცვლილებები შეიმუშავა და კონტრაქტორს მიაღებინა. არასამთავრობო ორგანიზაციები ყველა ჩართული იყო და ამისთვის ჩვენ მაღლობლები ვართ. რაც შეეხება ამ ადამიანების ინტერესებს, მათი ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული, ამას პრემიერ-მინისტრიც ამბობს. ამ ადამიანებს წინა მთავრობის პირობებში არ ბუდი ეწეოდათ, წარმოგიდგინათ? სახელმწიფოს ჰუმანურობა არ უნდა მივიღოთ სახელმწიფოს სისუსტედ. დაშინების და მუქარის ენით სახელმწიფოსთან ვერავინ ვერ ილაპარაკებს, ეს გამორიცხებულია. ეს უნდა გათვალისწინოს გინდა სამთავრობომ, გინდა არასამთავრობომ".

"შვანე ალტერნატივა" ითხოვს, დაევალოს ილია ელოშვილს ასოციაცია მშვანე ალტერნატივას პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა იმავე საინფორმაციო საშუალების მეშვეობით და ორგანიზაციის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 1 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით.

2013 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილემ, ილია ელოშვილმა, წარმოადგინა შესაგებელი მშვანე ალტერნატივას სარჩელზე. შესაგებელში აღნიშნულია: "მოსარჩელის განცხადება, რომ ილია ელოშვილის მიერ რადიო "კომერსანტ" თან მიცემულ ინტერვიუში გაკეთებული განცხადება არის ცილისმყამბლური, მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, არის უსაფუძვლო. მოპასუხის განცხადება არ არის მიზანმიმართული მოსარჩელის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვისკენ. იგი წარმოადგენს მხოლოდ პასუხს მოსარჩელის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე და არ შეიძლება ჩაითვალოს "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის" პირველი მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცილისმყამბლურ განცხადებად.



აღნიშნავთ, რომ "შვანე ალტერნატივა" თავისი დაუსაბუთებელი განცხადებებით ამკარად ეწინააღმდეგება ენერჯეტიკის სამინისტროს მნიშვნელოვან წამოწყებებს და ცდილობს ხელი შეუშალოს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას, მათ შორის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასოციაცია "შვანე ალტერნატივა", სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ენერჯეტიკის მინისტრს ინვესტორი კომპანიის ინტერესების ლობირებაში, მოსახლეობის ზეწოლაში და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობაში ადანაშაულებს, რაზეც შეტყველებს მასმედიის საშუალებებში მოსარჩელის მიერ გამოქვეყნებული არაერთი სტატია და გაკეთებული შეფასება, მათი მონაწილეობით ჩატარებული კუჩრის აკციები, რომლის ერთ-ერთი მაგალითია აქცია – "ზრა ხუდონისგან და სხვა დიდ ჰესებს".

2013 წლის 18 დეკემბერს 14.00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 22-ე დარბაზში შედგება პირველი სასამართლო სხდომა. დავას განიხილავს მოსამართლე ასმათ კობრიძე.

Tweet 0 | G+1 0  
 Like Share 0

არქივი

- პროკურატურა "მრამეთორების საპეზიზ" განხილავს და პიდიომასალას ავრცელებს 2013-07-22 16:31:09
- "კამიძორების ცხება და პიდიომასალა მოხდა აღნიშვლის ბრძანებით" 2012-12-22 23:08:37


 საქართველოს მთავარი პროკურატურა "ტრაქტორების საქმეზე" განცხადებას და ვიდეო მასალას ავრცელებს...  

 ციხის ვიდეოკადრებთან დაკავშირებით მთავარი პროკურატურა დანაშაულს გახსნილად აცხადებს და მოწმეთა...  
 სამყიო სფეროში დასაქმებული 2014-03-10  
 უბიდური შემთხვევა 2013-09-16



8 საკითხი \_ წულუკიანის უწყებას არაეფექტური მუშაობის შედეგებზე



ვინ არიან ოზურგეთის სოფლებში მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატები



აღდება თუ არა სამართლიანობა მიხილ სააკაშვილის დაქვრით



"მინდოდა ღირსეული სიბერე მქონოდა..."



"ჯავახვი" სომხური ენისთვის სტატუსის მინიჭებას ითხოვს"



ზაზა ხატიაშვილი მსს-სგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს



"მერაბიშვილის განცხადება საფუძვლად მოკლებულია"



პარლამენტს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ახალი



"დავებმართ პატიმრებს, ნუ მივატოვებთ გასაჭირში"



"არხის მფლობელთან დეზინფორმაცია მიჭონდათ და ივანიშვილი



კლუბ "გურიას" დირექტორის შვილი გარდაიცვალა



დღის ფორა \_ ბურჯანაძის ოფისი ჩოხატაურში



წყლის სისტემის რეაბილიტაცია და რეაბილიტაციის შემდეგ



სად გაქრა 91 833 ცალი ჩამოწერილი წიგნი?